ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0162, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 26 11 2014 წ.

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება № 02-02/446

ა(ა)იპ `საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტში" 2014 – 2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მეორე შუალედური გამოცდის პროცედურული ვადების განსაზღვრის შესახებ

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, რექტორის 2014 წლის 10 ოქტომბრის N 02-02/344 ბრძანებით დამტკიცებული „გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის", „2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დაგეგმვის შესახებ" რექტორის 2014 წლის 24 ივლისის N02-02/183 ბრძანების 5.3 და 5.4. პუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დოკუმენტურად დადასტურებული საპატიო მიზეზით შულედურ გამოცდაზე გამოუხცადებლობის შემთხვევაში, დამატებით გამოცდაზე დასაშვებად დოკუმენტდართული განცხადებების (შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის სახელზე) დარეგისტრირების ვადად განისაზღვროს მეორე შუალედური გამოცდის პერიოდი და მომდევნო კვირის ორშაბათი და სამშაბათი (2014 წლის 1- 9 დეკემბერი);
2. დამატებითი შუალედური გამოცდების ცხრილი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდეს 2014 წლის 9 დეკემბერს 18^{00} საათზე;
3. შუალედური გამოცდების შედეგები მართვის ელექტრონულ სისტემაში სრულად აისახოს 2014 წლის 1-დან 20 დეკემბრის ჩათვლით;
4. შუალედური გამოცდების გასაჩივრების ვადად განისაზღვროს 2014 წლის 20 -23 დეკემბერი;
5. დეკანატების მიერ სააპელაციო განცხადებების სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის გამოცდების, შეფასებებისა და ტრენინგების სამმართველოში წარდგენა მოხდეს არაუგვიანეს 2014 წლის 24 დეკემბრისა;
6. ნაშრომები სააპელაციო კომისიებში განსახილველად შესაბამის დეკანატებს გადაეცეთ 2014 წლის 25 დეკემბერს;
7. აპელაციის შედეგები სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის გამოცდების, შეფასებებისა და ტრენინგების სამმართველოს ეცნობოს არაუგვიანეს 2014 წლის 27 დეკემბერისა;

8. აპელაციის შედეგები მართვის ელექტრონულ სისტემაში სრულად აისახოს 2014 წლის 28 დეკემბრს;

9. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოს: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის, ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს; ენების ცენტრს; საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს;

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე